



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 196

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

„თვითმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების
თაობაზე“ თვითმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის
24 ნოემბრის № 67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დამატოს ლოტი №34 (NN209-213) თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი №34

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		ფართობი	შენიშვნა
1	№209	ტროტუარი	03.06.21.002	წერეთლის ქუჩა №220-ის სამხრეთით	310955,49663	4679746,9523	0,8X0,8=0,64	ორმხრივი
2	№210	ტროტუარი	03.04.06.659	ჭავჭავაძის გამზირი №39; №41; №43-ის ჩრდილოეთით	308643,4347	4680454,97208	0,8X0,8=0,64	ორმხრივი
3	№211	ტროტუარი	03.04.07.436	ჭავჭავაძის გამზირი №19-ის ჩრდილოეთით	309344,2487	4680066,6253	0,8X0,8=0,64	ორმხრივი
4	№212	ტროტუარი	03.05.24.729	ზ.გამსახურდიას გამზირი №47-ის მიმდებარედ	307217,282	4680746,018	0,8X0,8=0,64	ორმხრივი
5	№213	ტროტუარი	03.04.32.573	ჭავჭავაძის გამზირი №13; 15; 17-ის ჩრდილოეთით	309469,3571	4680040,6527	0,8X0,8=0,64	ორმხრივი

შენიშვნა: №34 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე თითოეული სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +5.00 მ-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 0,8 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 0,8 მ. სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია